საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 15 სექტემბერი 2016 წ

ბრძანება № 01- 08/52

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 05 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტსის წესდების 23-ე მუხლის მე-3 მუხ-ლისა და ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამე-ბის განხორციელების წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული დანართი № 1-ის და დანართი № 2-ის შესაბამისად);

ბ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) 2 ცალი ფოტოსურათი 3/4;

ე) ბაკალავრის / მაგისტრის და /ან მათთან გათანაბრებული დიპლომის ან სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2016 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან საგნის სწავლების თაობაზე.

2. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადად - 28 სექტემბრიდან - 08 ოქტომბრამდე.

3. გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2016 წლის 09 ოქტომბერს, 14.00 საათზე (ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37, აუდიტორია № 37).

4. გამოცდის შედეგების გამოცხადება 2016 წლის 10 ოქტომბერი.

5. გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 2016 წლის 11 ოქტომბერი.

6. მასწავლებლისს მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცეს 2016 წლის 12 ოქტომბერს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

7. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტების მიმღები კომისია:

კომისიის თავჯდომარე: იამზე ჩიჩუა - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი;

წევრები: სემაეთ სარჯველაძე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი;

ზვიად სურმანიძე - იურისტი.

8. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგნობრივი კომისია:

კომისიის თავჯდომარე: მაია ჭიჭილეიშვილი - პროფესორი;

წევრები: ქეთევან ვაჩეიშვილი - პროფესორი;

რატი ჩიბურდანიძე - ასოცირებული პროფესორი.

9. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდის სააპელაციო კომისია:

კომისიის თავჯდომარე: ინგა ხალვაში - ასოცირებული პროფესორი;

წევრები: სოფო თავაძე - ასოცირებული პროფესორი;

ნინო ხარჩილავა - აკადემიური დოქტორი.

10. აღნიშნული ბრძანებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, საქმის წარმოების სამსახურმა, ბუღალტერიამ და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 4).

13. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ე. მესხია

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2016 წლის 15 სექტემბრის № 01-08/52 ბრძანების
დანართი № 1

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორს ----------

(სახელი, გვარი)

(მისამართი, ტელეფონი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე

განმცხადებლის ხელმოწერა

,, ------" ,, ----------" 2016 წელი

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2016 წლის 15 სექტემბრის № 01-08/52 ბრძანების
დანართი № 2

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

აპლიკანტის ანკეტა

სახელი ----------

გვარი ----------

დაბადების თარიღი -------/--------/----------/

რიცხვი, თვე, წელი

პირადი ნომერი № ----------

ფაქტობრივი მისამართი ----------

რეგისტრაციის მისამართი ----------

სქესი: მამრობითი მდედრობითი

მობილური/ტელეფონი ----------

ელ-ფოსტა: ----------

ფაკულტეტი ----------

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) ----------

მიღებული განათლება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, სპეციალობა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენას ფლობთ? ----------

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის სემთხვევაში. მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

ვადასტურებ მითითებულ ინფორმაციას და წარმოდგენილი დოკუმენტის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები

(აპლიკანტის ხელმოწერა)

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) *თარიღი: --- -----2016*